

ინფორმაცია ამომრჩევლებისთვის

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები 2025 წლის 4 ოქტომბერს გაიმართება.

საქართველოს მოქალაქეები ოთხი წლის ვადით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერს აირჩევენ.

საკრებულოს არჩევნები ტარდება მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების საფუძველზე.

4 ოქტომბერს საქართველოს მოქალაქეები აირჩევენ 64 საკრებულოს 2 058 წევრს, როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული სისტემით და 64 მერს.

პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება საარჩევნო ოლქში პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე და იყოფა იმ პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებულ საკრებულოს არჩევნებში საკრებულოს წევრად არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ყველაზე მეტი ნამდვილი ხმა მიიღო.

მერის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტი მიიღო. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენები.

თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

თვითმმართველი ქალაქის (გარდა ქალაქ თბილისისა) საკრებულო შედგება პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 15 წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 10 წევრისაგან, ხოლო თვითმმართველი თემის საკრებულოს მაჟორიტარული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.

ვის აქვს და ვის არ აქვს ხმის მიცემის უფლება

საარჩევნო ხმის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს.

არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლემბისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

როგორ უნდა გადაამოწმოს ამომრჩეველმა სიაში საკუთარი მონაცემები

ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმება შესაძლებელია კომპიუტერის, პლანშეტის, მობილურის ან სწრაფი გადახდის აპარატის გამოყენებით (ვებგვერდზე cesko.ge ან <https://ems-voters.cec.gov.ge/>)

ან ჩამოტვირთოს აპლიკაცია Voters Georgia – Cesko. (iOS , Android)

გარდა ამისა, ამომრჩეველს შეუძლია, მივიდეს იმ საუბნო საარჩევნო კომისიის მისამართზე, სადაც არის რეგისტრირებული და ადგილზე გადაამოწმოს მონაცემები ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ვერსიაში. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში კი განცხადებით მიმართოს საუბნო ან საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვოს ამომრჩეველთა სიაში ცვლილების შეტანა. სიაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნა შესაძლებელია 16 სექტემბრის ჩათვლით.

როგორ უნდა ნახოს ამომრჩეველმა საკუთარი საარჩევნო უბნის მისამართი

ამომრჩეველს შეუძლია, ეწვიოს ვებგვერდს ems-voters.cec.gov.ge შესაბამის ველში შეიყვანოს პირადი ნომერი, გვარი და გაეცნოს საკუთარ და ოჯახის წევრების მონაცემებს, რუკის საშუალებით ნახოს საარჩევნო უბნის მისამართი, ან დაუკავშირდეს ცესკო-ს კონტაქტ-ჰაბს ნომერზე - 2 51 00 51.

როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე იმ შემთხვევაში, თუ თავის საცხოვრებელ მისამართზე რეგისტრირებული არიან მისთვის უცნობი მოქალაქეები

უცხო პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნა ხდება ბინის მესაკუთრის განცხადების საფუძველზე, რომელიც უნდა წარედგინოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა შემთხვევაში - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

როგორ გაივლიან ამომრჩეველები რეგისტრაციას

იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება, ამომრჩეველთა იდენტიფიცირება ელექტრონული აპარატების გამოყენებით განხორციელდება. საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩეველის მონაცემებს რეგისტრატორი ელექტრონული ვერიფიკაციის აპარატით გადაამოწმებს. აღსანიშნავია, რომ ვერიფიკაციის აპარატში მხოლოდ იმ კონკრეტული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სია იქნება ჩატვირთული. ორმაგი ვერიფიკაციის მცდელობისას აპარატი გამოსცემს ხმას და არ გაატარებს ამომრჩეველს მეორედ.

როგორი იქნება უზუალოდ კენჭისყრის პროცედურა იმ საარჩევნო უბანზე, სადაც განთავსებული იქნება ელექტრონული ტექნოლოგია

რაც შეეხება კენჭისყრას, დეტალური პროცედურა თანმიმდევრობით შემდეგია:

- ამომრჩეველი საარჩევნო უბანზე მისვლისას გადის მარკირების შემოწმების პროცედურას;
- შემდეგ ნაკადის მომწესრიგებელს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან პასპორტს;
- რეგისტრატორი ამომრჩევლის მონაცემებს ელექტრონული ვერიფიკაციის აპარატით გადაამოწმებს, იდენტიფიცირების შემდეგ ამომრჩეველს უკეთდება მარკირება, ვერიფიკაციის შემდეგაპარატიდან ამოიბეჭდება ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითარი, რომელზე ხელისმონერთაც ამომრჩეველი ადასტურებს არჩევნებში მონაწილეობას;
- ქვითარი რჩება რეგისტრატორთან, ამომრჩეველს გადაეცემა საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური ჩარჩო კონვერტი;
- ამომრჩეველი ფარული კენჭისყრის კაბინაში აკეთებს არჩევანს - ბიულეტენზე სამივე სვეტში აფერადებს სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატის წინ არსებული წრეს, რის შემდეგაც ბიულეტენს ათავსებს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში არჩევანის ფარულობის უზრუნველსაყოფად;
- სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებით ბიულეტენს ათავსებს ხმისმთვლელ აპარატში.

ამ ბმულის საშუალებით ნახეთ სრულად, როგორ უნდა მისცეთ ხმა ელექტრონულ არჩევნებში:
<https://game.cec.gov.ge/>

დაკავშირებული იქნება თუ არა საარჩევნო ელექტრონული აპარატები ინტერნეტთან

ცესკო-ს ინფორმაციით, ელექტრონული აპარატები - ხმის მიცემისა და ხმის დათვლის ოპტიკური სკანერები (Poll Count Optical Scanners (PCOS)) და ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები (VIU) არ არის დაკავშირებული ინტერნეტის ქსელთან და შესაბამისად, კიბერჩარევის საფრთხე არ არსებობს; ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს ორი აპარატი ერთმანეთთან ქსელურადაც არ არის დაკავშირებული. ერთადერთი ელექტრონული აპარატი, რომელიც ჩართულია (პრივატულ) ინტერნეტ ქსელში, არის პლანშეტი. ეს კავშირი არის სრულიად დაცული და ამ ქსელით პლანშეტი მხოლოდ და მხოლოდ ცესკო-ს სერვერს უკავშირდება.

როგორ იქნება დაცული ხმის მიცემის ფარულობა

ელექტრონული აპარატის გამოყენებით ხმის მიცემისას უზრუნველყოფილი დადაცულია ფარულობა. ახალი სახის ბიულეტენთან ერთად, საარჩევნო უბანზე ამომრჩეველს დახვდება სპეციალური ჩარჩო-კონვერტი, რომელიც უზრუნველყოფს ხმის ფარულობის დაცვას - ამომრჩეველმა ბიულეტენი გადაუკეცავად, ამობრუნებული ფორმით უნდა მოათავსოს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში, შემდეგ კი ხმის დათვლის აპარატში (ხმის მიცემისა და ხმისდათვლის ოპტიკური სკანერში (Poll Count Optical Scanners (PCOS))). შესაბამისად, შეუძლებელია, უბანზე ვინმემ შეძლოს იდენტიფიცირება, თუ ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა.

ამასთან, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი (VIU) ამუშავებს და ინახავს ამომრჩეველთა იმპერსონალური მონაცემებს, რაც აუცილებელია მხოლოდ ხმის მიცემის პროცესისთვის. ხოლო ხმის მთვლელი აპარატი არ ამუშავებს და არ ინახავს ამომრჩეველთა პერსონალურ ინფორმაციას. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება ამომრჩევლის დაკავშირება მის მიერ მიცემულ ხმასთან.

ელექტრონული ხმის მიცემის პროცესი, განსაკუთრებით კი დათვლის ეტაპი, ზედმინწევნიტ არის რეგულირებული და სტრუქტურირებული ისე, რომ ამომრჩევლის არჩევანი არ იყოს იურიდიულად ან ტექნიკურად გამოვლენილი. არ არსებობს კავშირი ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატსა და ხმების დათვლის ელექტრონულ აპარატს შორის, რაც ხელს უშლის მიცემულ ხმებსა და ამომრჩეველებს შორის რაიმე კავშირის დადგენას. ამასთან, ბიულეტენი არ არის სერიული ან ჩანერილი ისე, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული ბიულეტენის კონკრეტულ ამომრჩეველთან ასოცირება.

როგორ დაითვლება ხმაები

ხმის დათვლა ხორციელდება ელექტრონული აპარატების (ხმის მიცემისა და ხმის დათვლის ოპტიკური სკანერის (Poll Count Optical Scanners (PCOS)) გამოყენებით. ყოველ საარჩევნო უბანზე განთავსებული იქნება არანაკლებ 2 ხმის მთვლელი აპარატი. კენჭისყრის მიმდინარეობისას თითოეული აპარატი დამოუკიდებლად თვლის მიღებული ბიულეტენების შედეგს. კენჭისყრის დასრულების შემდეგ კი, აპარატებს შორის პირდაპირი კავშირით ხდება მიღებული ხმების დაჯამება. აღსანიშნავია, რომ უბანზე არსებული ხმისმთვლელ აპარატებს შორის საბოლოო ინფორმაციის მიმოცვლა მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი კავშირით, ინტერნეტის გარეშე ხორციელდება.

ხმისმთვლელი აპარატი ავტომატურ რეჟიმში ითვლის ხმებს და კენჭისყრის დასრულების შემდეგ, სავალდებულო პროცედურების განხორციელებისთანავე ბეჭდავს კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერს.

სწორედ ხმის მთვლელი აპარატის მეშვეობით, კენჭისყრის დასრულების შემდეგ უმოკლეს დროში ხდება კენჭისყრის წინასწარი შედეგების შეჯამება თითოეულ უბანზე და საზოგადოებისთვის გაცნობა.

აპარატის მიერ ბიულეტენების დათვლისა და წინასწარი მონაცემების ამობეჭდვის შემდგომ, პროცესში განსაზღვრულია ხელით გადათვლა, რის შემდგომაც შედგება იურიდიული ძალის მქონე შემაჯამებელი ოქმი. თუმცა წინასწარი მონაცემები ხელით გადათვლამდე გახდება ცნობილი.

როგორ მისცემენ ხმას ამომრჩევლები იმ უბანზე, სადაც არ იქნება ელექტრონული ვერიფიკაციის, ხმის მიცემისა და დათვლის აპარატები

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო უბნების მცირე ნაწილში არ იქნება ელექტრონული ვერიფიკაციის, ხმის მიცემისა და დათვლის აპარატები, ცესკო ტექნოლოგიებს აქაც იყენებს. კერძოდ, საარჩევნო უბნებზე, სადაც არჩევნები ამ დრომდე არსებული წესით ჩატარდება, საარჩევნო ბიულეტენები გადაყვანილი იქნება ციფრულ ფორმატში, შესაბამის პლატფორმაზე აიტვირთება და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ეს კიდევ ერთი მექანიზმია იმისათვის, რომ დაცული იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის მთავარი პრინციპები - გამჭვირვალობა და სანდოობა, - აცხადებენ ცესკო-ში.